დოდო ჯუმბურიძე

შროშანი ჩემი ბილიკისთვის

თბილისი
2024

რედაქტორი:	*როსტომ ჩხეიძე*
ტექნიკური რედაქტორი:	*მია ჭაბუკიანი*
კორექტორი:	*მირანდა ტყეშელაშვილი*
ყდის დიზაინი და	
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	*ილია მაღლაკელიძე*

© დოდო ჭუმბურიძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2024

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

All rights reserved. No part of this publication may be published, translated, reproduced, or transmitted in any form or by any means, electronically (CD-Rom, Internet, etc.), mechanically, including photocopying, recording, information storage or retrieval system, without the prior written permission of the University of Georgia Publishing House.

ISBN 978-9941-9896-1-2

მისამართი: 77ა, მ. კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელ.: +995 032 2 55 22 22

ელ. ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

„შროშანი ჩემი ბილიკისათვის“

ამბობენ, ამქვეყნად ყველაფერი მოულოდნელად ხდება, კარგიც და ცუდიც. ჩვეულებრივი, მხოლოდ ერთფეროვნებაა... ყოველი ახალი წიგნის გამოცემა სასიამოვნო მოულოდნელობა და, ამავდროულად, უჩვეულო პასუხისმგებლობაა ავტორისთვის...

გენიალურად აქვს ნათქვამი ჟან-ჟაკ რუსოს: იმ სიბნელეში, რომელშიდაც შევძელი მეცხოვრა, მე იმაზე მეტი ვიფიქრე და იმაზე უკეთ, ვიდრე მეფეებმაო და ჩემი სულის თავგადასავალი მათი სულის თავგადასავალზე ნაკლებ საინტერესო როდიაო. ამ სიტყვებს მართლა დიდი კონტექსტი ჰქონდა, თუმცა, ჩვენს პატარა ქვეყანაზე თუ გადმოვიტანთ, ვიტყვი, რომ ჩემმა თაობამაც სიბნელეში იცხოვრა, თანაც — მართლა სიბნელეში. სულის თავგადასავალიც მძაფრი ჰქონდა, რის გამოც, გადარჩენისა და ბედნიერებისთვის ისევ ლიტერატურასა და ხელოვნებას მიმართავდა. პოეზია მუდმივი მოგზაურობაა დროსა და სივრცეში, წარსულსა და მომავალში, თავისუფლებისა და სიყვარულის მუდმივი ძიება... ისტორიული ამბებისა და მითების კითხვისას, რამდენჯერ მიფიქრია —„ძველი სამყაროს ღმერთებო და გმირებო, მომეცით თქვენი ძალა და მოხერხება, როგორმე ამ ქვეყნის ბედიც რომ წაღმა შევაბრუნო და ჩემი ცხოვრებაც-თქო“... ინგლისელი დევიდ ლენგის სიტყვებიც სულ მახსოვდა: საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ნამდვილად ღმერთს იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, უბრალოდ, არ არსებობსო... ამიტომაც გადადის ეს ისტორია ასე ხშირად პოეტურ ფიქრებსა და წარმოსახვებში, ქართულ პოეზიას ასე უჩვეულოდ რომ ახასიათებს.

ერთ ძველ დღიურში ჩამიწერია: „საქსონიის ფაიფური და ბრილიანტის ქინძისთავი სურდა ვანდალს მიერთმია რომაელი ქალბატონის — ვალერია ფერარასთვის, ის კი, თურმე, რომზე გაიძახოდა: ეს ქალაქი გადამირჩინეთო...“ დიახ, ასეც ხდება... ვიცი, საქართველოსაც ვერაფერი გააკვირვებს, ისე დიდი და ძნელი გზა გამოიარა, იმდენი ქარიშხლები და სიკვდილის ცელების თავზე ტრიალი შეიგრძნო, ტალანტებიც იმდენი ჰყავდა და ჩვეულებრივებიც, ალბათ, ამ პოეტურ კრებულსაც გაუგებს...

პოეზია შორეული ქვეყანაა, „მცხეთის ჯვარსა და ვარსკვლავებს შორის“, და კიდევ უფრო იქითაც... ლექსი გულის ცეცხლიდან აფრენილი სიყვარულის ნაპერწკალია. სიყვარული კი, დიდი და პატარა არ არის;

არც ბევრია, თუ ცოტა, რადგან მას არ თვლიან და არ რწყავენ... სიყვარული ყოფის არსია, ცხოვრება კი — პატარა, მოსაწყენი ფარსი, თუ მასში უფალი არ გეგულება და ყოველ წუთსა და წამს მისკენ არ მიდიხარ.

ამ კრებულით გულში იმ სიტყვებს ვიმეორებ, რომელთაც უფლისკენ მივმართავ, ფიანდაზს ვუშლი, სიტყვებს შროშნებად ვუფენ ბილიკზე. მის მზიან და თბილ სამყაროში სურვილები დაჰქრიან ჰაერში, მუქი და მძიმე ფერებიდან მზე ზარებს რეკავს; ცრემლშიც კი, ცეცხლი ბრწყინავს და სიყვარულის ნატვრა; ძველი ტაძრები და ციხეები, ქორები, ალვები, ჭალის ხანძრები; მიწა — მოფარული მწვანე-ყვითელი, ყავისფერი და ჭრელი ფოთლებით; ფუღუროიან კაკლის ხეზე ბუნებას შეხამებული მწვანე-ყვითელი ვასაკაც კი; მდინარე — მდორე და მუქ-ლურჯად გაწოლილი; უმანკო გულის უნუგეშო დარდი და კიდევ ერთი ულამაზესი დღით შორეთს გადაცურებული ჟამი ჩვენი ყოფისა, _ ყველაფერი ირეკლება მასში...

ჩვენი ქვეყნის ისტორია კაცობრიობის ისტორიის ნაწილია, ლექსები კი, ამ სამყაროში მფრინავი სიტყვები, რომლებიც ხშირად მაშინ მოდიან, როდესაც ხიდები დამწვარია, როდესაც ჭირს მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა, როდესაც თვალები თავისით ტირიან, ცეცხლიანი ჩირაღდნებით დარბის შაჰ-აბასი და როდესაც ყველასა და ყველაფერს შველა უნდა.

პოეზიაც ხომ, იმას ცდილობს, რომ გამოიყვანოს ადამიანები გაუსაძლისი ყოფის, სიკვდილის, მტრობის, ყმობისა და უაზრო რუტინით თრობის კლანჭებიდან!..

ავტორი

შროშანი ჩემი ბილიკისთვის

„შემინახე თვალისჩინივით,
შენი ფრთების ჩრდილქვეშ შემიფარე“...
II შჯ. 32, 10, 11; ფს. 35,8; ზაქ. 2,8.

„... იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე,
როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ.....“
ფსალმუნი, 71,6.

ქარები ბნელ ღამით ზეციდან
ვარსკვლავებს ჰყრიან და
ლიმონის ფოთლები ლურჯ-მწვანედ
                    პრიალა
                              რბილდება,
ქურუმი ქალები ლოცვებს აღავლენენ
კნოსოსს და აგია-ტრიადას
        და ჩემი ანგელოზი
        ამ ლაბირინთიდან გაყვანას მპირდება...

დეა სასახლელი: „ლაბირინთი“
„ყველაზე მძაფრად ახლა გრძნობდა დედამიწაზე ჩვენი
პატარა თავგადასავლის უცნაურობასა და მარტოობას“...
თომას ვულფი, „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო!“

* * *

შენ ხან მზესავით გამობრწყინდები,
ხან მომიყვები უცხო არაკებს,
ნუ გეშინია, არ მომწყინდები,
რამდენიც გინდა, ილაპარაკე...
ყველა ზღაპარი ვიცი ზეპირად,
რომ უთავდება ბოლო კეთილად.
ზოგი თიბვის დროს მომისმენია
კავკასიონის მთებში თიბათვეს,
ეს ზღაპარი კი, ძველისძველია,
შენ რომ მიყვები და სულს მინათებ.
ხან მზესავით რომ გამობრწყინდები,
ხან მომიყვები უცხო არაკებს,
ნუ გეშინია, არ მომწყინდები,
რამდენიც გინდა, ილაპარაკე...

მაისი

მაისი ტანზე თეთრად მიმათოვს,
მთენთავი სუნი ექნებათ კორდებს,
ისეთი რამე უნდა ვინატრო, –
ახდენის ცოტა იმედი მქონდეს.
სულში გრიგალმა დაიბინადროს
და სივრცე ლამაზ ოცნებად გვფლობდეს,
ისეთი რამე უნდა ვინატრო,
ახდენის ცოტა იმედი მქონდეს...

* * *

ბალახებში გაბნეულან
ლოკოკინას ნიჟარები,
ო, ხეებო, რა ვიცოდი,
თუ ჩემს წასვლას იჯავრებდით.
თავზე ნისლებს გადიყრიდით,
დაბრუნებას მიბრძანებდით...

დავბრუნდები, დავბრუნდები,
თქვენთან, ისევ, საყვარლებო,
პეპლებო და ყვავილებო.
ჩიტებო და ბახალებო,
სადაც ცაც და დედამიწაც
ბედნიერ ჟამს მახარებლობს,
გულიანო ძმა-ბიჭებო,
სევდიანო დაქალებო...

წავედი და რა ვიცოდი,
თუ ჩემს წასვლას იჯავრებდით,
თუ უჩემოდ მოიწყენდით,
სიზმარ-ცხადით იწვალებდით...
ბალახებში გაბნეულან
ლოკოკინას ნიჟარები...

* * *

მე არ ვიქნებოდი, სხვა იქნებოდა,
ხმაში წუხილი ექნებოდა სხვას,
სხვა შეიყვარებდა და სხვა უმღერებდა
ამ ლამაზ მიწას და ამ მაღალ ცას.
მე არ ვიქნებოდი, იქნებოდა სხვა,
შეცვლილი სახით და შეცვლილი ხმით,
ტაძარში მიიყვანდა უნიშნო ხარს,
უგზო ქვეყნებისთვის ააგებდა ხიდს;
თბილ გულს შესწირავდა შვილსა და ქმარს,
ყველაფერს მისას შესწირავდა რწმენას,
ზოგჯერ სიძულვილზე დახუჭავდა თვალს
და დიდი სიყვარულზე დაიწყებდა წერას,
სიცოცხლედ ჩათვლიდა პატარა ლექსს,
უბით ატარებდა რუსთველის წიგნს,
გაეჭვიანებდა უზომოდ ბევრს,
დაგაკარგვინებდა ჯერსა და რიგს...
მე არ ვუქნებოდი, სხვა იქნებოდა,
ხმაში წუხილი ექნებოდა სხვას,
სხვა შეიყვარებდა და სხვა უმღერებდა
ამ ლამაზ მიწას და ამ მაღალ ცას.

* * *

ქალებო!
კაცებს ღვინო ასვით და პური და მარილი
მიუტანეთ,
კაცებს ალოცვინეთ კაცი და
გული სამსხვერპლოზე მიუტანეთ,
კაცები თბილ ბურანში აცურეთ და
ქვეყნის ბედ-იღბალი აწერინეთ,
კაცებს ათქმევინეთ კაცური და
დიდი ტვირთი უხმოდ აწევინეთ;
კაცები გრძელ გზებზე გაუშვით და
ბავშვები სულით დაუპურეთ,
კაცებს გაუთბეთ სიცოცხლე და
ოცნება სიყვარულით დაუბრუნეთ.
კერიის კვამლში ლოცვები იჩურჩულეთ ნიადაგ,
პატარა შეცდომებს მოკვდავნი
ისედაც ცოდვებად თვლიან და
პატარა შეცდომები კაცებს მიუტევეთ,
კაცებს ღვინო ასვით და პური და მარილი
მიუტანეთ,
ქალებო!..

* * *

მე მიმყავს ჩემი თბილი მდინარე!
ქვეყნის კიდემდე უნდა ვიაროთ,
– არ შემხვდები და მუდამ ინანებ,
შემხვდები, ცოტას მაინც ინანებ,
და მაინც, იცი, ასე სჯობია,
სადაც ცა ლურჯ ზღვას გადამხობია
ვარდისფერ დილით ჩავალთ ოდესმე
და შევისვენებთ ნანატრ კბოდესთან.
იქ წყლისფერ გემებს ვნახავთ მძინარეთ,
ბილიკებს ზღვაში ჩამომდინარეთ, –
შეყვარებულთა ხმები რომ ფარავთ,
ჩვენ გავიხსენებთ საყვარელ ქალაქს
და ჩვენს შეხვედრებს აღარ ვინანებთ...
მე მიმყავს ჩემი თბილი მდინარე!..

ზღვა

შენს თბილ სხეულთან ჩუმად მივწვები,
ჩუმად მივწვები და მივიძინებ.
ტალღები, როგორც ცელქი ბიჭები,
ნიჟარებით და თეთრი მძივებით
და ზღვის ჩრდილებით ჩემთან მორბიან
და სველ ქოჩრებზე ხელებს იდებენ
და უეცარი საჩუქრებივით
მძივების აცმას ყელზე მკიდებენ
და ფეხშიშველნი ისევ ჰქრებიან...
სამხრეთის ზეცა მიხმობს კრიალა
და მიქნევს ქარში ულურჯეს მანდილს,
მზე ჩადის, მაგრამ ზღვაში კი არა –
ჩემს ათრთოლებულ სხეულში ჩადის...

* * *

თუ იქნები, უნდა იყო ერთადერთი,
ახლა, მგონი, მეოცნებე რომანის გმირს ვგევარ,
ნეტავ ერთი, რანაირად უყვარდათ ერთმანეთი
ადამსა და ევას...
სამოთხეში ვაშლი როგორ ჰყვაოდა,
ასე ნაზად თუ შლიდა
ქარი ნისლის რემას,
ნეტავ კაცი ქალთან რაზე დავობდა,
ან რა ჰქონდა სასაუბრო თემა...
ნეტავ, მართლა რანაირად უყვარდათ ერთმანეთი
ადამსა და ევას!..

დედა

შენი წუხილით მე ჯვარზე მაცვეს
და, თითქოს, შენთან ერთად ვბერდები,
დღემდე მგონია ისევ, რომ კაცებს
სულ სხვანაირად უყვართ დედები.
ქარი უჩუმრად დააფენს გზებზე
შენი სახელით ავსილ დღიურებს,
ჩემს ქალურობას მე შენში ვეძებ
და რაღაც მძაფრად მანერვიულებს.
მგონია, ვიყავ დედაც და ცოლიც,
მგონია, მყავდა ქმარიც და შვილიც
და ჩემს სულს, როგორც ცისფერი ზოლი
გასდევდა ფიქრი, ტყესავით ხშირი.
ასე მგონია, მოვიდა დაღლა
და მშობელივით შემახო ხელი,
სახსენებელიც არ არის ახლა,
ამიტომ, ჩემი თვრამეტი წელი.

მე მაწუხებდა და თანაც მსურდა
მქონოდა შენი სითბო და ეშხი,
შენ უნდა იცნო,
შენ იგრძნო უნდა,
რომ შვილზე მეტი არსებობს ჩემში.
შენ უნდა იცნო,
იგრძნო როგორმე,
როგორ მღერიან სულში გედები,
ნუ დაიჯერებ, ჩემს ტოლ გოგონებს,
რომ ჩემზე მეტად უყვართ დედები.
შენი წუხილით მე ჯვარზე მაცვეს
და, თითქოს, შენთან ერთად ვბერდები...